ზუგდიდი

№ 2 (113114). 31 მარტი, 2024 წელი. გაზეთის დაფუძნების თარიღი: 1930 წლის 1 მარტი

გილოცავთ!

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს!

31 მარტი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე ჩატარებული რეფერენდუმის და საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა

ჯანდაცვის მინისტრად მიხეილ სარჯველაძე დაინიშნა

ჯანდაცვის მინისტრად **მიხეილ სარჯველაძე** დაინიშნა. მინისტრი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე წარადგინა.

შეგახსენებთ, მიხეილ სარჯველაძე იყო აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი. მოგვიანებით, ის იყო იუსტიციის მინისტრის მოადგილე. შემდეგ ის იყო საპარლამენტო გუნდის წევრი და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე.

მიხეილ სარჯველაძემ ამ პოსტზე ზურაბ აზარაშვილი შეცვალა.

სოფია ხარჩილავა შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარების კონკურსის გამარჯვებულია

ზუგდიდის შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების მიზნით გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული პროექტის RT – ტექსტილი პრეზენტაცია გაიმართა.

აღნიშნულ პროექტის დაფინანსება დიზაინერმა სოფია ხარჩილავამ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეწვისა და გასტრონომიის სექტორის ხელშეწყობის მიმართულებით მოიპოვა.

ირაკლი ღარიბაშვილი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პარტიულ აქტივს შეხვდა

„ქართული ოცნების" თავმჯდომარე **ირაკლი ღარიბაშვილი**, პარტიის აღმასრულებელი მდივანი, **მამუკა მდინარაძე**, რეგიონული მდივანი, **დიმიტრი სამხარაძე** და საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ზუგდიდის, მესტიის, ჩხოროწყუს ხობის, სენაკის, მარტვილის, აბაშის, ფოთისა და წალენჯიხის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და პარტიულ აქტივს შეხვდნენ.

შეხვედრის დაწყებამდე, მმართველი პარტიის ლიდერებთან შეხვედრას ითხოვდნენ ორგანიზაცია „ხმა ერისა, გზა ხსნისა" წევრები, რომლებიც საბანკო სისტემის წინააღმდეგ აქციას მართავდნენ.

შეკრებილებთან მამუკა მდინარაძე მივიდა და საკითხის გარკვევას დაჰპირდა.

ინფორმაციისთვის: „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, პარტიულ აქტივს, 100 დღის განმავლობაში, 10 რეგიონში შეხვდება. პირველი შეხვედრა აჭარაში გაიმართა.

ელგუჯა გოგოხია ზუგდიდელი მოქანდაკე, ეპარქიის ხუროთმოძღვარი

ზუგდიდელი მოქანდაკე ელგუჯა გოგოხია არაერთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული პროექტის ავტორია.

მათ შორის არის ზუგდიდის ბულვარში აღმართული 12 მეტრიანი სტელა ჯვარი, არაერთი ეკლესიის პროექტი, არაერთი ქვაჯვარი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქშია აღმართული.

ეკლესიისთვის გაწეული ღვაწლისთვის პატრიარქისგან დაჯილდოებულია სიგელით და ვერცხლის ჯვარით.

რას ამბობენ ნიკა კვეკვესკირზე მისი პირველი მწვრთნელები

ნიკა კვეკვესკირი და გიორგი კალანდია

ნიკა კვეკვესკირი და ელგუჯა ქომეთიანი



ნიკა კვეკვესკირი და ვალერი გულორდავა

საქართველო-საბერძნეთის ისტორიული მატჩის გუშინდელი პრესტიჟული გოლის ავტორი, ნიკა კვეკვესკირი, ზუგდიდელი მწვრთნელების, არაერთი ფეხბურთელის დამკვალიანებლების, გიორგი („ნოკოლი“) კალანდიას, ელგუჯა ქომეთიანის და ვალერი („ბლოხო“) გულორდავას გაზრდილია. ისინი საუბრობენ გაზეთ „ზუგდიდთან“.

გიორგი („ნოკოლი“) კალანდია:

„ნიკა, 8 წლიდან თამაშობდა ფეხბურთს. ექვსი თვე ვარჯიშობდა ჩემთან. შემდეგ გადავიდა “ბაია ზუგდიდში” ვალერი გულორდავასთან, სადაც მან სერიოზული წრთობა გაიარა მის კარიერულ გზაზე.

ნიკა, ძალიან ნიჭიერი, წყნარი, მშვიდი, გაწონასწორებული ბიჭუნა იყო. ბევრს ვარჯიშობდა. ძალიან უყვარდა შრომა. მუდამ ფორმაში იყო. მერწმუნეთ, მან ყველაფერს თავისი შრომით მიაღწია. ნიკას მამაც ფეხბურთელი იყო და არ ყოფილა მისთვის უცხო და ახალი, თუ როგორი მონდომება და შრომა სჭირდებოდა წარმატებულ ფეხბურთელობას. ძალიან დიდია ჩემი ემოცია. ნიკას წარმატება მეც ჩემ წარმატებად მიმაჩნია. მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და ნიკას და სრულიად საქართველოს მივულოცო ეს ისტორიული გამარჯვება.”

ელგუჯა ქომეთიანი: - სანამ ნიკაზე დავიწყებ საუბარს, სრულიად საქართველოს ვულოცავ ამ ისტორიულ გამარჯვებას. მიხარია და გილოცავთ თქვენც. ამ დღეებში მეკითხებია, შენ ხომ იყავიო ნიკას მწვრთნელი. ვიყავი, მაგრამ არ მაქვს პრეტენზიები ვინმემ სადმე აღნიშნოს, ან მახსენოს. მან შესანიშნავი მწვრთმელების ხელში გაიარა 8 წლიდან. მისი პირველი მწვრთნელი გიორგი კალანდია იყო, შემდეგ, დაახლოებით ერთი წელი იყო ჩემთან... წლები ვარჯიშობდა ვალერი გულორდავასთან და მასთან ვარჯიშის დროს გამოიკვეთა მისი სპორტული გზა. "ბაია ზუგდიდში" გაიზარდა, ამ გუნდიდან მიიღო მოწვევები. მადლობა, რომ დამიკავშირდით. რა მეთქმის-ნიკა, თავიდანვე იყო შრომისმოყვარე ბიჭი დიდი ნებისყოფით და შედეგიც მიიღო. უფრო დიდ წარმატებებს ვუსურვებ მას.



ვალერი („ბლოხა“) გულორდავა: – ნიკა, თავიდან ცნობილ მწვრთნელთან ელგუჯა ქომეთიანთან ვარჯიშობდა, შემდეგ ჩემთან იყო “ყოჩებში”. ძალიან გვიჭირდა მაშინ, მაგრამ მაინც შევძელით ძლიერი გუნდის შეკვრა. ეს იმ ადამიანების დამსახურება იყო, რომლებიც გვერდით დაგვიდგნენ. გუნდს წლების განმავლობაში, სპონსორობას უწევდა ბატონი ნუგზარ მალაშხია.

ნიკა, თავიდანვე, გამორჩეული ბიჭი იყო, შრომისმოყვარე, პასუხისმგებლიანი და კარგად აღზრდილი. დაახლოებით 9 წელი იყო ჩემთან. მოგვიანებით, გადმოვედით საფეხბურთო კლუბში “ბაია ზუგდიდში”. იცით, თქვენ, რომ გუნდის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ზვიად სიჭინავას. გუნდი საერთაშორისო ტურნირებშიც წარმატებით ასპარეზობდა. სხვადასხვა ქვეყანაში ვყოფილვართ და უამრავი თასი მოგვიგია. იმ წლებში, საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო ცანკერი. მოგვიანებით “ბაიას” პრეზიდენტმა, ზვიად სიჭინავამ, ცანკერი, ნაკრების მთავარ მწვრთნელად მოიწვია. ნიკა კვეკვესკირმა, იმთავითვე მიიქცია გერმანელი მწვრთნელის ყურადღება. სეზონის შემდეგ, ნიკა “თბილისის დინამოში” მიიწვიეს. აქედან დაიწყო მისი წარმატებული კარიერა დიდ ფეხბურთში. მიუხედავად, მანძილისა, ნიკასთან და მის ოჯახთან ყოველთვის მქონდა კავშირი. მუდამ ვგულშემატკივრობდი, ნიკას წარმატება ჩემი წარმატებაც იყო. სხვათაშორის, ნიკას მამა კობაც, თავის დროზე, საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ.

ნიკას გატანილმა გოლმა უდიდესი სიხარული მომანიჭა მე და სრულიად საქართველოს. მინდა, წარმატებული იყოს და არაერთხელ ასახელოს ჩვენი ქვეყანა.”

ირაკლი კობახიძე: ვგეგმავთ, ანაკლიაში ივნისიდან ინფრასტრუქტურული სამუშაოები დავიწყოთ

საქართველოს პრემიერ – მინისტრის **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, ანაკლიის პორტის პროექტთან დაკავშირებით სატენდერო პროცედურები მაისში დასრულდება.

როგორც ირაკლი კობახიძემ მედიასთან განაცხადა, ივნისიდან, ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაიწყება.

"ანაკლიას რაც შეეხება, პროცედურები დაწყებულია. მაისის ბოლოსთვის, სავარაუდოდ, გამოვლინდება კომპანია, რომელიც სათავეში ჩაუდგება სამუშაოებს. უფრო მეტიც, ჩვენ ვგეგმავთ, რომ ივნისიდან დავიწყოთ ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

როგორც მოგეხსენებათ, უშუალოდ მთავრობაც ახორციელებს ინვესტიციებს ამ სფეროში, ანაკლიის პორტის განვითარების კუთხით. შესაბამისად, არა მხოლოდ პროცედურებს დავასრულებთ, არამედ ივნისიდან ვგეგმავთ უკვე კონკრეტული სამუშაოების დაწყებას ანაკლიის პორტის მშენებლობასთან დაკავშირებით", – დასძინა პრემიერმა.

ირაკლი კობახიძის თქმით, მთავრობას ანაკლიის პორტის პროექტთან დაკავშირებით მკაფიო გეგმა აქვს.

„პროცედურები დაიწყება მარტში. მარტი, აპრილი, მაისი დასჭირდება ტენდერის დასრულებას. მაისის ბოლოსთვის უკვე ტენდერის პროცედურა იქნება დასრულებული, ივნისიდან იქნება შესაძლებელი სამუშოების დაწყება. ეს არის მკაფიო გეგმა, რომელიც აქვს მთავრობას და ამ გეგმას რა თქმა უნდა გავყვებით" – აღნიშნა პრემიერმა.

სტუდენტთა დაფინანსების მოცულობა გაორმაგდა

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის გიორგი ამილახვარის გადაწყვეტილებით, 2024-2025 სასწავლო წლიდან, ქართული ენის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (1+4) ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსება გაორმაგდა – სწავლა ყოველწლიურად 100 სომხურენოვანი და 100 აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტის ნაცვლად 200-200 სტუდენტს დაუფინანსდება.

"აღსანიშნავია, რომ „1+4" საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსება შეადგენს 450 000 – 450 000 ლარს და დაფინანსების მოცულობა ყოველწლიურად კიდევ უფრო გაიზრდება.

მოგეხსენებათ, „1+4" საგანმანათლებლო პროგრამა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ აბიტურიენტთათვის სპეციალური საშედავათო პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდება და მათ შესაძლებლობას აძლევს, გამარტივებული გზით მოიპოვონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება და კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებამდე გაიუმჯობესონ ქართული ენის ცოდნა.

ზუგდიდში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგური გაიხსნა

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ქვეყნის მასშტაბით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის უკვე 15 სადგური ფუნქციონირებს, მათ შორის, 13 ავტომატური და 2 მობილური.

"გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შვედეთის მთავრობის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „გადავარჩინოთ ბუნება – საქართველო" ფარგლებში, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელს ქალაქ ზუგდიდის ავტომატური სადგური დაემატა.

ახალი სადგური გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსმა **ვასილ გედევანიშვილმა**, საქართველოში შვედეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან **ანნა ლიბერგთან** ერთად გახსნა.



უკრაინაში კიდევ ერთი ქართველი მებრძოლი დაიღუპა

უკრაინაში კიდევ ერთი ქართველი მებრძოლი დაიღუპა. ინფორმაციას უკრაინაში ქართველი მებრძოლი, **ვანო ნადირაძე** სოციალურ ქსელში ავრცელებს. ის წერს:

„ბრძოლაში გმირულად დაეცა ჩვენი ძმა **თენგო ჭანია**, „აზოვის" მესამე მოიერიშე ბრიგადის წევრი",

ქალი, რომელიც იბრძვის და არ ნებდება

ზუგდიდელი **ზინა ფიფია** ტანსაცმლებს ყიდის ქუჩაში და ყოველ დღე, დილიდან საღამომდე სევდიანია მისი ცხოვრების ისტორია.

ზინა ფიფია-კოპალიანი: -"69 წლის გახლავართ. მე ქალაქში ყველა მიცნობს. წლებია ამ სფეროში ვმუშაობ. ჩემს ცხოვრებაში იყო სიხარული, ბედნიერება და ტკივილიანი დღეები. მეგონა, ბედნიერი დედა და ქალი ვიქნებოდი, მაგრამ განგებამ სულ სხვანაირად წარმართა ჩემი ცხოვრება. ორი ვაჟი მყავდა. ერთი შვილი დამეღუპა. დენმა დაარტყა და იქ გაჩერდა ჩემი ცხოვრება. მეგონა, მეც მასთან ერთად მოვკვდი, მაგრამ ისევ შევძელი ფეხზე წამოდგომა. გარდაცვლილი ვაჟისგან ორი შვილიშვილი დამრჩა, – ქალ-ვაჟი. მე მათ ვჭირდები. გოგო სტუდენტია, ბიჭმა სკოლა დაამთავრა. მინდა გითხრათ, რომ დრო ტივილებს არ აყუჩებს, პირიქით, მონატრება უსაშველო ხდება. ჩემს ტკივილს კიდევ ერთი ტრაგედია დაემატა მოგვიანებით, სახლი დამეწვა, ვერაფერი გადავარჩინეთ. წვალებით, ჩემი შრომით, ნათესავების და მეგობრების დახმარებით, შევძელით რადაცის აღდგენა, მაგრამ მეუღლეც გარდაიცვალა. მე, ნერვიულობის ნიადაგზე პარკისონის დაავადება დამემატა. დილით, დახლზე, საქონელის დალაგება მიჭირს. თავისუფლად ვერ ვმოძრაობ, მეტყველებაც მიძნელდება. რაც აქ მილაგია, ტანსაცმლები და სხვა წვრილმანები, ჩემთვის ჩამოაქვთ, ვყიდი და ოჯახს, შვილიშვილებს ვუმართავ ხელს. დაღლის, მოდუნების, დანებების უფლება არ მაქვს."

ბოტანიკურ ბაღში გაიმართა სპექტაკლის „აბუ და ბეს" ჩვენება

3 მარტს, დედის დღესთან დაკავშირებით, ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში გაიმართა **ელენე მაცხონაშვილის** შემეცნებითი და მხიარული სპექტაკლის „**აბუ და ბე**" ჩვენება.

სპექტაკლის წარმოდგენის შემდეგ მსახიობებმა დამსწრე ქალბატონებს მიულოცეს დღესასწაული და ყვავილებით დაასაჩუქრეს ისინი.

დადიანების მუზეუმს შვედეთის ელჩი სტუმრობდა

დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტრქტურულ მუზეუმს, შვედეთის ელჩი, ანა ლიბერგი ეწვია.

დადიანების სასახლის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ელჩი, ზუგდიდში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და შვედეთის მთავრობის პროგრამის "გადავარჩინოთ ბუნება-საქართველო" ფარგლებში, ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგურის გახსნაზე იმყოფებოდა. როგორც თავად აღნიშნა, რამდენიმე თვიანი მოღვაწეობის პერიოდში, დიდ ინტერესს გამოხატავს საქართველოს ისტორიის და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ და სხვადასხვა რეგიონებში სამუშაო ვიზიტით ყოფნისას სიამოვნებით ეცნობა ადგილობრივ კულტურას.

ქალბატონ ელჩს საჩუქრად გადაეცა სიმბოლური საჩუქარი, წიგნი – "დადიანების სასახლეების საგანძური", ლილი ბერაიას ავტორობით.

„გაზაფხული დადიანებში"

დადიანების მუზეუმში საგანმანათლებლო პროგრამა „გაზაფხული დადიანებში" რეგისტრაცია

განახლდა.

დადიანების სასახლის ადმინისტრაციის ინფორმაციით, პროგრამების მიზანია, მუზეუმის პოპულარიზაცია, ახალგაზრდების დაახლოება ისტორიულ მემკვიდრეობასთან და მათი ჩართვა შემოქმედებით-საგანმანათლებლო აქტივობებში.

"პროგრამა „გაზაფხული დადიანებში"- მონაწილეებს ჩაუტარდებათ ექსკურსია მუზეუმში და გაეცნობიან დადიანების უნიკალურ კოლექციას. სალექციო ფორმატში მოისმენენ ლექციას გაზაფხულზე.

პრაქტიკული ნაწილი მოიცავს გონების სავარჯიშო სახალისო დეტალებს. წარმოდგენილი სამუშაო მასალის საშუალებით ბავშვები საკუთარი ფანტაზიით შექმნიან გაზაფხულის სურათებს.

მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია წინასწარი რეგისტრაცია.

პროგრამები განკუთვნილია სკოლის ასაკის მოსწავლეთათვის (1 კლასიდან მე-5 კლასის ჩათვლით).

ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა: 15-30 ბავშვი.

პროგრამის ხანგრძლივობა: 60-90 წუთი.

პროგრამის ღირებულება: 7 ლარი."-

საზოგადოება "ზუგდიდელი" ქალაქის აწმყოსა და მომავლისთვის

საზოგადოება „ზუგდიდელი" ოცდაათ ათეულ წელზე მეტია, – 1992 წელს დაფუძნდა. 90-იანი წლებში, ზუგდიდში განვითარებული მოვლენების შედეგები გამოცდილი ზუგდიდელების ერთობას ითხოვდა და სწორედ ამ ნიშნით გაერთიანდნენ ადამიანები, ვისაც ჰქონდა კომპეტენცია და სურვილი ქალაქისთვის ეკეთებინა სასარგებლო საქმე, როგორც სამეურნეო, ასევე პარტიული ნიშნით.

მას შემდეგ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არ განხილულა და არ შესრულებულა არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე, სადაც საზოგადოება „ზუგდიდელს" არ მიეღო მონაწილეობა და არ ეთქვა თავისი სიტყვა.

„ზუგდიდელის" პირველ თავმჯდომარედ **მურმან დემურია** აირჩიეს. მისი გამჭრიახობის, დიპლომატიის და მენეჯერული თვისებების სჯეროდა საზოგადოებას. ბატონი მურმანის გარდაცვალების შემდეგ, საზოგადოებამ თავკაცობა ბატონ **მურად ქავთარაძეს** მიანდო.

მურმან ნაჭყებია, საზოგადოება „ზუგდიდელის" ამჟამინდელი თავმჯდომარე: – მინდა, უპირველესად, ჩემს თანაქალაქელებს შევახსენო საზოგადოება „ზუგდიდელის" დამფუძნებლების სახელები და გვარები: **ოთარ ფაცაცია, კარლო ვეკუა, ანზორ ქუჩულორია, კარლო ხორავა, ვაჟა ფიფია, რევაზ ცაავა.** მათ შორის ვარ მეც. საზოგადოების წესდებით, თავმჯდომარეს ყრილობა ირჩევს. ბატონების: მურმან დემურიას და მურად ქავთარაძის გარდაცვალების შემდეგ, ჩატარდა „ზუგდიდელის" მესამე ყრილობა, სადაც მივიღეთ გადაწყვეტილება, საზოგადოება ჩამოგვეყალიბებინა როგორც იურიდიული პირი – ააიპ და მის თავმჯდომარედ ავირჩიეთ საქართველოს ყოფილი პრემიერ მინისტრი, ზუგდიდელების საამაყო შვილი, ბატონი **ოთარ ფაცაცია**. მაშინ, მოადგილეებად აგვირჩიეს სპორტული კომპლექსის „ბაიას" დირექტორი **დომენტი (ზვიად) სიჭინავა** და მე, მურმან ნაჭყებია, – სააქციო საზოგადოება "ზუგდიდის ქაღალდის" დირექტორი. საზოგადოების პრეზიდიუმის წევრებად არჩეულიქნენ ცნობილი პიროვნებები: **ლევან ბეჭვაია, ვახტანგ ბასილაია, ვახტანგ კვარაცხელია, ვახტანგ კუკავა, ნატალია კემულარია, მზევინარ სოხგულია, ნანა ფირცხელავა, ზამირა ღადუა, როლანდ მაქაცარია, ნუგზარ სარია, დომენტი სიჭინავა, გივი სოსელია, თამაზ ცანავა, თემურ ყორშია, ირინა ჭითანავა, ლევან ღაჭავა, იური წოწერია, ბონდო ჯიქია.** პრეზიდიუმის მიერ შეიქმნა მუშა ბიურო შემდეგი შემადგენლობით: **ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, კარლო ვეკუა, ვაჟა ფიფია, თამაზ ცანავა, რევაზ ცაავა** და მათ შორის ვიყავი მეც.

2022 წელს, ბატონი ოთარის გარდაცვალების შემდეგ, ჩატარდა საზოგადოება "ზუგდიდელის" მეოთხე ყრილობა და ყრილობამ საზოგადოების თავმჯდომარედ ამირჩია, თავმჯდომარის მოადგილე გახლავთ **ლავრენტი (თემური) კემულარია**. მეოთხე ყრილობამ აირჩია განახლებული პრეზიდიუმის შემადგენლობა: **ლავრენტი კემულარია, გურამ ჭანტურია, ნუგზარ სარია, ლადო ქირია, ნათია ჯგუშია, ნუგზარ სართანია, მარინა ჯიქია** და **ნუგზარ მალაშხია.**

– ბატონო მურმან, საზოგადოება „ზუგდიდელმა" ათეული წლების განმავლობაში, ბევრი სასარგებლო შეხვედრა, დისკუსია, პროექტი განახორციელა. გვესაუბრეთ ყველაზე საინტერესო პროექტებზე

– დიახ, დაფუძნებიდან დღემდე, საზოგადოება "ზუგდიდელმა" არაერთი მნიშვნელოვანი ხასიათის საკითხი შესთავაზა ზუგდიდელებს და გადაწყვეტა ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად. რეგულარულად ხორციელდებოდა და ხორციელდება საქმიანი შეხვედრები, კონსულტაციები, აზრთა გაზიარებები მერიის, საკრებულოს, გუბერნიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან და მათი სტრუქტურების თანამშრომლებთან, რიგით მოქალაქეებთან. საკითხები ეხებოდა მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ქალაქის განვითარების გეგმას, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს, სამუშაო ადგილების შექმნას, მოსახლეობის დასაქმებას და არაერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს. საყურადღებოა, რომ საზოგადოება "ზუგდიდელის" წინადადებით, შემოღებულიქნა „საპატიო ზუგდიდელის" სახელის მინიჭება, ღვაწლმოსილი, დამსახურებული, ამაგდარი პირების დაჯილდოება საპატიო სიგელით, მისალოცი ადრესით, საპატიო წევრობის მანდატით. დღეისთვის, საზოგადოების საპატიო სიგელით დაჯილდოებულია 30 ადამიანი, მისალოცი ადრესი გადაეცა 10 ადამიანს, საპატიო წევრობის მანდატი კი, 12 -ს.

– ბატონო მურმან, საზოგადოება "ზუგდიდელი" აქტიურად მონაწილეობს ქუჩების სახელწოდებების მინიჭება-გადარქმევაშიც.

– რა თქმა უნდა ეს მნიშვნელოვანი თემაა ქალაქისთვის. საზოგადოების ინიციატივითა და წინადადებით, ზუგდიდის ერთ – ერთ ქუჩას მიენიჭა ზუგდიდის ეთნოგრაფიული მუზეუმის დამაარსებლის აკაკი ჭანტურიას სახელი, მეორე ქუჩას ცნობილი პარტიული მოღვაწის ივლიანე თოდუას სახელი. დასმულია ასევე საკითხები ცნობილი მეცნიერის, პროფესორის, დოქტორის, ბასკოლოგის, 200-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომისა და 70 მონოგრაფიის ავტორის, ილია ტაბაღუას, მცხეთისა და აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრის, უცხოეთში ტრაგიკულად დაღუპული ილია კარტოზიას, დამსახურებული პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის, სკოლის დირექტორის,ქალბატონ ლუიზა ციმინტიას, ასევე ყოფილი პრემიერ-მინისტრის, საზოგადოება "ზუგდიდელის" ყოფილი თავმჯდომარის ოთარ ფაცაციას სახელების ქუჩებისთვის მინიჭებაზე. წერილობითი შუამდგომლობა გაიგზავნა საქართველოს დამსახურებული არტისტის ნუგზარ შარიას ვარსკლავის გახსნის თაობაზე, მსოფლიოში ცნობილი კინორეჟისორის რეზო ჩხეიძის მიერ დატოვებული ანდერძის თანახმად დასმულია საკითხები ქალაქში აკაკი ჟვანიას, გვანჯი ჩიქოვანის, საშა ეგუტიას ბიუსტების დადგმის თაობაზე ქალაქის იერსახის ატრიბუტიკის დაცვით. ასევე, დაყენებულია საკითხი ჭადრაკის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, კეთილმოწყობილ სკვერში, ანდრია დადიანის, ნონა გაფრინდაშვილის კომპოზიციული ქანდაკების და მურმან დემურიას ბიუსტის დადგმის თაობაზე და ასევე, ჭადრაკის არქიტექტორული ორნამენტის დაგების თაობაზე. საკითხი განხილვის პროცესშია ზუგდიდის მერიასა და საკრებულოში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაყენებულიქნა საკითხი, ცნობილი ქართველი მწერლის კონსტანტინე თათარაშვილის სახლ-მუზეუმის კეთილმოწყობის თაობაზე, რაც ნაწილობრივ განხორციელდა, მაგრამ არაბოლომდე.

ჩვენი საქმიანობა ზუგდიდელების ხმაზე, მათ აზრებზე და წინადადებებზეა აგებული.

საზოგადოება „ზუგდიდელის" მუშა ბიურო ყოველდღიურად იკრიბება სამუშაო რეჟიმში. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მობრძანდეს ჩვენთან და შემოგვთავაზოს წინადადებები იმ საკითხებზე, რომლის განხორციელებაც მისი გაგებით წაადგება ჩვენს საერთო საქმეს, ჩვენს საერთო საფიქრალს – ჩვენი ქალაქის აწმყოსა და მომავალს გააუმჯობესებს.

მასალა მოამზადა ეკა ფარულავამ

სესილი ჩიქავა ცუკუბას უნივერსიტეტში სწავლას აგრძელებს

თავისუფალი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სტუდენტი ზუგდიდელი **სესილი ჩიქავა** იაპონიაში, ცუკუბას უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამით სწავლობს.

სესილი ჩიქავა: -ბავშვობიდან დაინტერესებული ვიყავი იაპონური კულტურით, მომწონდა იაპონური დამწერლობა, შესაბამისად, ვფიქრობ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სკოლამ და ზოგადად თავისუფალმა უნივერსიტეტმა, მომცა ისეთი შანსი, რომელიც ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ თუ ეძლევა. პირველი კურსიდან ვსწავლობ იაპონურ ენას, გარდა იაპონური ენისა იაპონურ ისტორიას, ლიტერატურასა და აზიურ რელიგიებს. თავისუფალ უნივერსიტეტსა და ცუკუბას უნივერსიტეტს შორის დიდი ხანია არსებობს უნივერსიტეტთა შორის მეგობრობის მემორანდუმი, შესაბამისად, სტუდენტებს ეძლევათ საშუალება 6 თვიან, ან ერთ წლიან გაცვლით პროგრამაში მიიღონ მონაწილეობა. ბედნიერი ვარ, რომ ეს შესაძლებლობა მეც მომეცა, სექტემბერში, როდესაც იაპონიაში ჩამოვედი ვფიქრობდი, რომ ამ საოცარ ქვეყანაში 6 თვე დავრჩებოდი, თუმცა ცუკუბას უნივერსიტეტის ინიციატივით, სწავლის ვადა კიდევ 6 თვით გამიხანგრძლივდა, რაც ძალიან სასიხარულოა ჩემთვის. ამ 6 თვის განმავლობაში ვეუფლებოდი იაპონურ ენას, გარდა ამისა, შევისწავლიდი ისეთ საკითხებს, რომლებიც ეხებოდა აზიურ ლიტერატურას, კულტურას, რელიგიებსა და ისტორიას. იაპონელები ძალიან პუნქტუალურები არიან. აქ საოცარი ბუნება არის, ზოგჯერ საქართველოს ბუნებას მახსენებს. ხალხს რაც შეეხება, ძალიან ყურადღებიანები და ზრდილობიანები არიან.

ცუკუბას უნივერსიტეტში სამი ქართველი ვსავლობდით. ორს სწავლის პერიოდი გაგვიხანგრძლივეს. ცუკუბას უნივერსიტეტი იაპონიის საუკეთესო უნივერსიტეტების ათეულშია. აქ ძალიან ბევრი უცხოელი სტუდენტი სწავლობს.

-როგორია უცხო ქალაქში სტუდენტური ცხოვრება?

-სტუდენტური ცხოვრება ძალიან მომწონს, ახალი გარემო და ახალი მეგობრების შეძენა ძალიან სასიამოვნოა. დიდი მოლოდინები და იმედები მაკავშირებს მომავალ ექვს თვესთან, მინდა მაქსიმალურად გამოვიყენო ეს დრო და როდესაც საქართველოში დავბრუნდები სხვებს გავუზიარო ჩემი ცოდნა და გამოცდილება. ყველანაირად შევეცდები ქართული კულტურა და ისტორია, ზოგადად საქართველო ბევრ ადამიანს გავაცნო და ვიყო დამაკავშირებელი ხიდი საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყანას შორის.

მასალა მოამზადა ეკა ფარულავამ

საჯარო სკოლებში პირველკლასელთა რეგისტრაცია იწყება

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ 2024-2025 სასწავლო წლისთვის საჯარო სკოლებში პირველკლასელთა რეგისტრაციისთვის ვადები და პირობები განსაზღვრა. ამის შესახებ ინფორმაციას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის **გიორგი ამილახვარის** გადაწყვეტილებით, სასკოლო ასაკთან დაკავშირებით „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილება შევიდა.

კერძოდ, 2024-2025 სასწავლო წელს პირველ კლასში დარეგისტრირებას შეძლებენ ბავშვები, რომლებსაც 6 წელი 1-ელ დეკემბრამდე შეუსრულდებათ.

პირველკლასელთა რეგისტრაციის ვადები:

I ეტაპი – რეგისტრაციის პირველ ეტაპზე, 2024 წლის 6 მარტიდან 20 მარტის ჩათვლით, სკოლებში დარეგისტრირდებიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები.

II ეტაპი – რეგისტრაცია 1 მაისიდან 16 მაისის ჩათვლით იქნება შესაძლებელი.

III ეტაპი – საყოველთაო რეგისტრაცია 20 მაისიდან დაიწყება და 13 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება.

IV ეტაპი – 27 ივნისიდან 12 ივლისის ჩათვლით სკოლებში განხორციელდება. ამ ეტაპზე დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე ან წინა ეტაპებზე გამოთავისუფლებულ ადგილებზე იმ მოსწავლეების რეგისტრაცია მოხდება, რომლებიც ვერ დარეგისტრირდნენ I, II და III ეტაპებზე, ან სურთ რეგისტრაციის შეცვლა.

პირველ კლასში ჩასარიცხი დოკუმენტები:

მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს, კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

მოსწავლის დაბადების მოწმობის, ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

„დედა გაზეთის" და მისი 4 შვილის დაბადების დღე

1 მარტი, ამ ფოტოზე წარმოდგენილი 5 გაზეთის დაბადების დღეა, რადგან ზუგდიდში, მათი დედა გაზეთი "ყაზახიში გაზეთი" დაიბადა 1930 წლის 1 მარტს.

ადამიანებივით არიან – ყველას თავისი ბედი და

შინაარსი ჰქონდა და აქვს. მედიაისტორია ამბობს, რომ პირველი გაზეთი, ზუგდიდში, "ყაზახიში გაზეთი" იყოო. მედიამკვლევარები ამბობენ, რომ პირველი მეგრულენოვანი საინფორმაციო გაზეთი 1929 წელს გამოიცა, "კოლექტივიში შარათ" სახელწოდებით და 30 – წლის პირველ მარტამდე იცოცხლა. შემდეგ იყო "ყაზახიში გაზეთი", 1936 წლიდან "კომუნარები" – ჯერ მეგრულ – ქართულად, შემდეგ კი, სრულად ქართულად, 1938 წელს გაზეთს "მებრძოლი" შეარქვეს, 1990 წელს, 3 წლით, "ოდიში" გახდა. შემდეგ, 1994 წლიდან, ახალ დროებასთან ერთად, ნატყვიარ ოფისში, "ზუგდიდის" სახელით გაგრძელდა მისი ცხოვრება და დღემდე მოდის მცირე ტირაჟით, მაგრამ ცოცხლობს მაინც თანამოაზრეებისა და მხარდამჭერების თანადგომით

პირველი გაზეთი ზუგდიდში 5000 ტირაჟით გამოცემულა, შემდეგ 16 000 გამხდარა, იყო 22 000 და მეტიც. ფორმატს რაც შეეხება – "ყაზახიში გაზეთი A2 ფორმატი იყო ("კომუნისტის" ფორმატი), "კომუნარი", "მებრძოლი", "ოდიში" და "ზუგდიდი" A3 ფორმატით გამოიცემოდა. ყველა ამ გაზეთის გამომცემელი ადგილობრივი ხელისუფლება იყო. დროთა განმავლობაში, ხელისუფლებამ უარი განაცხადა გაზეთის დოტაციაზე. სრულად დამოუკიდებელი, ახლანდელი "ზუგდიდი", სამწუხაროდ, მცირე ტირაჟით და A4 (თაბახის) ფორმატით ხვდება თავის 94 – ე წელს. სამწუხაროდ და საბედნიეროდაც – საბედნიეროდ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ცოცხლობს და ზუგდიდურ მედიაისტორიას აგრძელებს ავად თუ კარგად, „ქამარმოჭერილად".

წინ 95-ე, საიუბილეო წელია, გაზეთის შემოქმედებით ჯგუფს აქვს გეგმები, რომელსაც ზუგდიდელებთან ერთად განიხილავს და იმედოვნებს, მათთან ერთად განახორციელებს კიდეც.

დღეგრძელობა, ზუგდიდის ერთ-ერთ მხცოვან მეისტორიეს

ზუგდიდელი მოსწავლეების წარმატებები

გიორგი ნაჭყებია, სესილი შონია, ნინო ძნელაძე პირველი საჯარო სკოლის XI კლასის წარმატებული მოსწავლეები არიან.

გიორგი ნაჭყებია – მონაწილეობს CIEE Council of International Exchange პროგრამაში, რომელიც მოიცავს სწავლას ამერიკულ საჯარო სკოლაში ერთი აკადემიური წლის განმავლობაში.

სესილი შონია – ODYLP-ის ახალგაზრდა ლიდერების პროგრამის ფინალისტია და აპრილში, სამი კვირით, გამეგზავრება ამერიკაში, ვაშინგტონის შტატში.

ნინო ძნელაძე – მომავალ ლიდერთა გაცვლით (FLEX) პროგრამაში გამარჯვებულია და ერთ აკადემიურ წელს გაატარებს აშშ-ში.

რაულ ჩილაჩავას მთარგმნელობითი წარმატება კიდევ ერთი პრემიით აღინიშნა

რაულ ჩილაჩავას ამ დღეებში, მიენიჭა უკრაინული პრემია „დრაგომანი" – „უკრაინასა და საქართველოს შორის კულტურული ხიდების მშენებლობისთვის.

2023 წელს საქართველოში გამოვიდა რაულ ჩილაჩავას მიერ უკრაინულიდან თარგმნილი სამი წიგნი: მარკიან კამიშის რომანი „ოფორმლიანდია ანუ ზონაში გასეირნება",„ომის ლექსიკონი" (უკრაინელი პოეტები ომზე), ტარას შევჩენკო „ფიქრნო ჩემნო".

დაჯილდოების ცერემონიალი შედგება აპრილის მიწურულს კიევში.

ახალი ბაღი შამგონაში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, შამგონაში 75 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მოწყობა დასრულებულია.

უწყების ცნობით, ახალ საბავშვო ბაღებში გათვალისწინებულია შიდა და გარე სივრცეების, რეკრეაციული ზონების, კომუნიკაციების კეთილმოწყობა. ბაღი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

გამომცემელი: შპს „გაზეთ „ზუგდიდის" რედაქცია
მისამართი: ზუგდიდი, კოსტავას №56, მეორე სართული, ტელ 577 464070
ნომრის ბეჭდვის სპონსორია: შპს. Best Copi